№ 9 იანვარი 13, ᲗᲐᲠᲐᲡᲙᲘᲕᲘ 1889 იანვარი 13 ᲗᲐᲠᲐᲡᲙᲘᲕᲘ № 9

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ

თვეში	მან.	კ.	თვეში	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲬᲔᲠᲝᲜᲗ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲠᲝᲓᲔᲡᲙᲘᲗᲐ ᲤᲠᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲞᲘᲡᲢᲐᲛᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, № 5, ᲬᲘᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲗᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲠᲣᲑᲚᲘ ᲙᲐᲠᲘ.

1877—1889 ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ 1877—1889

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ 1889 ᲬᲚᲘᲡᲐᲪ ᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲛᲔᲚᲒ.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲯᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲯᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, 1889 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲠᲘᲤᲘ:

ᲤᲣᲚᲘᲡᲨᲘ: ა) თვითონ რედაქციის, ფრილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; Ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიის (ახალის ქუჩა, თაეფდ-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარავასლის გალერეიაში).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიის.

ᲮᲝᲚᲨᲘ: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიის.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ: მ. ნათაძეს.

ᲤᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲒᲖᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲓᲘᲚᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲠᲨᲘᲡᲐ, ᲛᲝᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲕᲙᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲣᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

ᲤᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

რადგანაც კავკასიის ვენახებს ანადგურებს სხვა-და-სხვა სენი, სახელდობრ, მილდიუ და ნაცარი, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა ვენახების პატრონთ ხელი მოუმართოს, ვაზის წამდღობა შემოადებინოს და ამითა სრულს განადგურებას გადაარჩინოს ვენახი. ამიტომ ხსენებულმა საზოგადოებამ პირრია კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რა საშუალებითა და როგორ უნდა შეეშველოს სამეურნეო საზოგადოება ვაზის სენს. კომისიას *) ორი სხდომა ჰქონდა—ერთი 4-ს და მეორეც 8-ს დეკემბრისას. კომისია შეეხო შემდეგს საგნებს: ა) რა ხარჯი შეუძლიან გასწიოს საზოგადოებამ ვაზის სენთან საბრძოლველად; Ბ) რა იარადი და მასალა უნდა შეიძინოს ამ ფულით და გ) რა წესითა და რიგით უნდა დაარიგოს საზოგადოებამ ეს იარადი და მასალა. თავ-მჯდომარემ ბ-ნმა ხატისოვმა აცნობა კომისიას, რომ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს განზრახვა აქვს შეადგინოს ხუთი დასი ვაზის საშველად. ორი დასი ფილოქსერას შებრძოლება და დანარჩენი სამი—მილდიუს და ნაცარს და ხალხს ასწავლის ამ სენთა წამლობასაო. ერთი დასი გიგზავნება კახეთს, მეორე— იმერეთ-კავკასიაში (ყიზლიარის მაზრაში) და მესამე—ქუთაისის გუბერნიაში. რადგანაც სამეურნეო საზოგადოებას საკმაო საშუალება არა აქვს, ამიტომ საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა იმუამდგომლოს მთავრობასთან, რომ სამეურნეო საზოგადოებას მიეცეს 3,550 მან. სხვადა-სხვა იარადისა და მასალის შესაძენად. ეს მასალა და იარადი საზოგადოებამ უნდა მოახმაროს ვაზის წამლობასა და ანგარიში უნდა წარუდგინოს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს. ამ წუაროს გამო და სამეურნეო საზოგადოებას იმედი ჰქონდა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა, მაგრამ რადგანაც ბანკის საზოგადო კრება მხოლოდ მაისში იქნება, ამიტომ კომისიამ დაადგინა, რომ ბანკის შესაწევარი ჯერ არ უნდა ვინაგარიმოთო. ერთის სიტყვით, საზოგადოებამ იმ ფულის კვალობაზე უნდა იმოქმედოს, რაც ექნება. ამ ფულით საზოგადოებამ უნდა შეიძინოს ყველა საჭირო იარადი და მასალა. რათა ეს მასალა და იარადი თავის დროზე მიაწოდოს იმათ, ვისაც ესაჭიროება, საზოგადოებამ უნდა გამართოს საწყობები იქ, საცა ვაზის ავადმყოფობა არის, და ეს საწყობები იმათ უნდა მიანდოს, ვისაც შეუძლიან ჩაგარნოს ვენახის პატრონებს, რომ წამლობაა საჭირო. კომისიამ შეათანა ვაზი კავკასიაში ოთხ „დესეტინად“ იანგარიშა და ამის კვალობაზე გადასწყვიტა თითო ვენახისათვის შეიძინოს შემდეგი იარადი და მასალა—ნაცართან საბრძოლველად:

ორი საბერველი—4 მან., ორი სათვალე—3 მან., 28 ფუთი გოგირდი—84 მ., სულ 91 მანეთისა; მილდიუსთან საბრძოლველად: ერთი პულვერიზატორი, ექვსი ფუთი თითბრის შაბიამანი და ფუთნახევარი კირი, სულ 62 მანეთისა. ამასთანავე კომისიამ საჭიროდ სცნა დაიბარაოს აპარატები ვერმორელისა ძმათა �აისა და გალიესი; საბერველი და სათვალეები საზღვარგარეთიდგან უნდა დაიბარონ ათათი ცალი და დანარჩენი ტფილისში უნდა გააკეთებინონ. საერთო ანგარიშით სამეურნეო საზოგადოებამ უნდა შეიძინოს სულ 2950 მანეთის იარადი და მასალა და უნდა გაანაწილოს ამ გვარად: კახეთში უნდა გგზავნოს 9 აპარატი და 66 ფუთი შაბიამანი, ყიზლიარში ამდენივე, ქუთაისში—5 აპარატი და 30 ფუთი და განჯაში 2 აპარატი. კახეთში ეს აპარატები და მასალა უნდა ჩაბარონ თავ. ვახვახიშვილს, მაზრის მარშალს, და ქუთაისში—სამეურნეო საზოგადოების წევრს, ბ-ნს ს. ხოჯაევს. ამათ ეს აპარატები და მასალა უნდა დაურიგონ ყველას, ვისაც ესაჭიროება, ხოლო უფასოდ-კი არა.

რადგანაც დიდ-ძალმა მემამულემ არა იცის-რა წამლობის შესახებ, ამიტომ თავადმა რ. ვაჩნაძემ ურჩია კომისიას, აცნობოს ყოველივე მემამულეთა და სთხოვოს საზოგადოებასთან ერთად გამოიწერონ აპარატები და მასალა. ამის შესახებ თავის დროზე განცხადება დაიბეჭდება ადგილობრივს გაზეთებში. რათა მემამულეთა და მებადეთა ისეთ ვაზის წამლობა, კომისიამ დაადგინა ლექციების გამართვა მომავალს მარტის თთვეში ტფილისის საადგილ-მამულო საბანკო ბანკში. ზაფხულს-კი იმავე ბაღში საქმით უჩვენებენ, თუ როგორ უნდა უწამლონ ვაზს. იმ დასებში, რომელნიც გაგზავნილნი იქნებიან ვაზის საწამლველად, სამეურნეო საზოგადოება ჩაჭრიცხავს აგრეთვე ტფილისის საბადოსნო სკოლის უფროსის კლასის მეგირდებს.

Ა. ᲜᲐ—ᲚᲘ

*) კომისიის წევრნი იყვნენ: თავ-მჯდომარე კომისიისა ბ-ნი ი. ს. ხატისოვი, თავ. რ. ვ. ვაჩნაძე, თავ. ი. გ. ᲩᲐᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ბ-ნნი ისტაპოვები, ვ. ა. ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘ, ᲥᲠ. ᲒᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ი. ნ. ᲒᲣᲜᲯᲘᲐᲜᲘ, ფ. ა. ᲨᲘᲰᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ და ვ. დ. ᲭᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲪᲔᲜᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲘ

(ᲡᲣᲚᲮᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲗᲐᲜ)

ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲥᲔᲚᲘᲗ ᲠᲝᲛᲔᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲘᲜᲔᲣᲚᲘᲗ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲔᲒᲜᲘᲡ. ᲜᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲚᲓᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲔᲒᲜᲘᲡ. ᲜᲐᲛᲘᲗ ᲣᲩᲐᲒᲝ ᲓᲐᲕᲫᲘᲠᲘᲗ ᲑᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲮᲘᲡ; ᲓᲐᲜᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲖᲔᲠᲖᲔ ᲡᲐᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲔᲒᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ. ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲕᲫᲘᲠᲘᲗ ᲑᲔᲚᲔᲚᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲗ

ნაც იმღვდელ-მოქმედებენ უპირატესნი სამღვდელონი. აქედგინთწედ და გადდებზედ გამოსაყენებენ უპირატესნი მღვდელნი ხსენებულის ტაძრისანი წმ. ნინოს ჯვარის საშუალ ეკკლესიისა თაყვანის-საცემლად ხალხის მიერ, რომელთაც მაღალ ყოველად უსამღვდელოესი ეგზარხოსი თითოეულად სცხებს ნაკურთხს ზეთსა. მეორეს დღეს, ე. ი. 14 იანვარს, მსგე სიონის საკრებულო ტაძარში იქნება არქიელის წირვა, რომელზედაც აგრეთვე გამოსაყენდება წმინდა ნინოს ჯვარი“.

*** შარშან სააღდგომოდ, როგორც უკვე მოეხსენებათ მკითხველებს, გამოვიდა ახალი წიგნი რუსულის ენის შესასწავლად ქართულ სკოლებში, სახელდობრ «Русское Слово», შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ. ამ წიგნის ავ-კარგიანობაზე თითქმის არაფერი თქმულა-რა.

ეხლა ჩვენ შეგვიძლიან განვუზიაროთ მკითხველებს აზრი ერთის გამოცდილის მასწავლებლისა, რომელსაც ამ წიგნით უსწავლებია რუსული ენა სამს განყოფილებაში წარსულ სექტემბრიდამ. აი მასწავლებლის აზრი სიტყვა-სიტყვით:

„Русское Слово“ მშვენიერი მეთოდიური სახელმძღვანელოა ქართველის სკოლებისათვის. ჩვენს სკოლებში აქამამდე ყველგან „Родное Слово“ იყო მიღებული და ყველგან კოჭლობდა რუსული ენა. აბა ახლა ნახეთ, რა ხალისითა და სიამოვნებით კითხულობენ ყმაწვილები „Русское Слово“-ცამ სტატიებს. ისე ადვილად და ხალისიანად სწავლობენ ბავშვები ამ წიგნიდგან სახელმწიფო ენას, რომ სწორეთ მოგეწონებათ. მესამე განყოფილება წელს სულ დაამთავრებს ამ წიგნს. ეს უპირატესობა იმითი ახსნება, რომ სამშობლო ბუნების მასალა ხელოვნურად არის მოთავსებული წიგნში. წიგნს ერთიანათად უმატებს ფასს სასაუბროები და საკითხავები. ისე ლამაზად უგებენ ბავშვები პასუხს, ისე შეეჩვევნენ რუსულის ზეპირად ლაპარაკს, რომ არც «Родное Слово» და არც სხვა სახელმძღვანელო ამ საქმეს ვერ იზამდა“.

თითქმის ასეთივე აზრი გაგვიგონია სხვა მასწავლებლებისაგან და აგრეთვე მშობლებისაგან, რომელნიც შინად ასწავლიან რუსულს ენას ხსენებულ სახელმძღვანელოთი.

გარდა ამისა ისიც უნდა მოეხსენიოთ, რომ დიდი ხანი არ გასულიყო მას შემდეგ, რაც წიგნი დაიბეჭდა, და სასულიერო მთავრობამ ეს წიგნი, შედარებით სხვა ამ გვარ სახელმძღვანელოებთან, რაც-კი საქართველოში გამოსულა, მოიწონა და სახელმძღვანელოდ მიიღო სასულიერო და სამრეველო სასწავლებლებში.

რაც შეეხება კავკასიის სამხედროელ ოლქის მზრუნველს, რომელსაც წადგენილი აქვს ეს წიგნი განსახილველად, იმას ჯერ ამ წიგნის ბეჭდარ გადაუწყვეტია.

*** კიდლის ახალი კალენდარი, რომელიც გამოსცა წიგნის მაღაზიამ ბ-ნის ჩარკეანისამ, უკვე სრულიად გაყიდულა და აღარ არის, სამწუხაროდ, ჩარკეანს თავისი კალენდარი 600 ეგზემპლიარად გამოუცია და ეხლა-კი პროვინციებიდგან წერილი წერილზე მოსდის, რომ კალენდრები გამოგვიგზავნეთო. კარგი იქმნებოდა, რომ შემდგენელი ეხლავე შესდგომოდა მომავალის 1890 წლისათვის კალენდარის შედგენას, უფრო გაეუკეთესებინა, ახალის ცნობებით შეეესო და ბლომადაც დამეტედა, რადგან პირველი ცდა ამტკიცებს, რომ ამ კალენდარს ქართველობა სიხარულით მიეგება და სიამოვნებით ჰყიდულობს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რიონის (თავისთვის) ნაწლეევებში ქვე ჩაეწყდა, რაი ყოფილა უგი, ვერ წამოვეწვეთ მკედარ-ვირიანსა. ცელ მითამ კაად სპრის, ქვე რა მემართების?!

ბაბაკ. ქვე ტყეელა რასამ სკოდელობ, ქვენ დარჩი, მამასწვერაო. ვერ მახვალ ბაბაკასთან. კაც არ ხარა, დაჭკელიე ემა თავის ნამხრევთა, თავის სოროს ღვაეის, დიდ ნამხრევ მაინც წამაიტანე, სირცხილი არ; ხოყანა ღნახავს, ბეჩავ კაცი ყოფილაო, იტყვიან შენთ ნამხრევეთ რო ჰღნახვენ. (ცელს) ჰა ბეჩავ, ბაბაკო! კა გაუსდიხარ დედას, სატიალეო!

მამასწვერა. ბეერ არაი ჭყოფილხარ, თავ ქვე ნურას გედიდების, ბაბაკურავ, შენ ფერეებს ხუთსაც უბეჩი ჩაესხამ ნიადე, სტუმარ შინ-შაუყვანელო!

ბაბაკ. ბახენეთ, ბახენეთ მაგას, მამასწვერურას. შენ გლნახას კაცმა, შე ტილიანო, ბაბაკს შენ უნდა ეუბეზბოდია მაგას, მეკანტალეო, წინანგაუპოხელო. ზევნით ქვე შაწუხებულაას თემი, სოფელი. შენ არ ხარა ქალაქჩი რო ტყავეგ დაგეპარ, დაგიჭერესა და საბნელოჩი ჩაგაგდეს. დაეწყუტენ ჯორ-ულაყთ წელები შენი გულისა ქალაქენი ერობოების ზიდეენებითა. მაშინის კა ბაბაკა ეიყავა განაე. ახლა-კი უბეჩიაე მიპირობ ჩასმასს? თავს ნუ აფერებ ღულელ ბაბაკს: მე ნაჩალიკიც ქვე მიცნობსა, სუდიაიც, ღურბელნატარიც.

მამასწვერა. ეინ ასს მეკანტალეი, შენ უნბობა მაგას? შინ ჯალაფნ არას (ბაბაკისთვის) ნაწლეევებჩი ქვე ჩაეწყდი, რაი ყოფილა უგი, ვერ წამოვეწვეი მკედარ-ვირიანსა. ცელ მითამ კაად სპრის, ქვე რა მემართების?!

ბაბაკ. ქვე ტყეელა რასამ სკოდელობ, ქვენ დარჩი, მამასწვერაო. ვერ მახვალ ბაბაკასთან. კაც არ ხარა, დაჭკელიე ემა თავის ნამხრევთა, თავის სოროს ღვაეის, დიდ ნამხრევ მაინც წამაიტანე, სირცხილი არ; ხოყანა ღნახავს, ბეჩავ კაცი ყოფილაო, იტყვიან შენთ ნამხრევეთ რო ჰღნახვენ. (ცელს) ჰა ბეჩავ, ბაბაკო! კა გაუსდიხარ დედას, სატიალეო!

მამასწვერა. ბეერ არაი ჭყოფილხარ, თავ ქვე ნურას გედიდების, ბაბაკურავ, შენ ფერეებს ხუთსაც უბეჩი ჩაესხამ ნიადე, სტუმარ შინ-შაუყვანელო!

ბაბაკ. ბახენეთ, ბახენეთ მაგას, მამასწვერურას. შენ გლნახას კაცმა, შე ტილიანო, ბაბაკს შენ უნდა ეუბეზბოდია მაგას, მეკანტალეო, წინანგაუპოხელო. ზევნით ქვე შაწუხებულაას თემი, სოფელი. შენ არ ხარა ქალაქჩი რო ტყავეგ დაგეპარ, დაგიჭერესა და საბნელოჩი ჩაგაგდეს. დაეწყუტენ ჯორ-ულაყთ წელები შენი გულისა ქალაქენი ერობოების ზიდეენებითა. მაშინის კა ბაბაკა ეიყავა განაე. ახლა-კი უბეჩიაე მიპირობ ჩასმასს? თავს ნუ აფერებ ღულელ ბაბაკს: მე ნაჩალიკიც ქვე მიცნობსა, სუდიაიც, ღურბელნატარიც.

მამასწვერა. ეინ ასს მეკანტალეი, შენ უნბობა მაგას? შინ ჯალაფნ არას

ბინაც არა სჯა ღვინოია,
დაღეკარით, არ ვიწყალდენით.
ფეკენ-კი არა ეოფიდალენ,
სმალს ქეკელ გაკეტარენით.

ბაბაკ. (ზარაზნის ხმა ისმის) დაბკარით, ენანო, ღურდურათა, დაბკარით! ჩვენაც დაბეკრათ სათიბს, მამასწვერაე! შენ რო ჰკვეხდი, ბაბაკს თიბაჩი ქვე ეაჯობინებეე, ეხლა გამოჩნდების. (ცელს) მატუსენ ბალახნი, მამუკაის ნაქნარო, ნუღარას გასწორავ! (გვრინავს)

სასტუმრიეოდ მზეს ღეკესარ,
სამასნინმდოდ მთვარესა;
კეკეს სპირდაპირად
ქვეს ღეკესარ მეორეალესა;
ამდათა გასაგერშაკად
მეკალს ღეკესარ მარიალესა...

ბაბალე, მამასწვერავ!

მამასწვერა (ცელს) მალოკენ ბალახნი, მააწითენ მიწანი. ემგაეს დაღეკრავეს, მთაო, მამასწვერას მეძახან მეა, ჩაგაპრი კალთათა, გამგლოეიარებ, ტიალო!

ბაბაკ. ბაბალე, მამასწვერაო, ბაბალე, მეედი! ქვენ დარჩი, მამისწვერუაე, გაგიცედების ღულელ ბაბაკასთანამდი.

მამასწვერა. სა მიხვალ, სა, ბაბაკურავ?! მალედავ წამოგეწვეეს ყოფაის გაზდილი. (გვრინავს)

კა ეჯეკ, მეკალი, ვრწეკი,
არც ერთ არ ჯაიწერთსეს:
მეკალი არ მაჭმდის მეკლობასა,
კა ვჯეკ მამაცობასა,
ბერი არ მაჭმდის ვრწეკი
მთის ეკერეთ ნადირობასა.

ბაბაკ. ეს ლამაზად ეგებენ ბაბაკ ბეგს. ეს ლამაზად ეგებენ ბაბაკ ბეგს. ეს ლამაზად ეგებენ ბაბაკ ბეგს.

ჯარიმას გადაგახდეინებთ ამდენ-და-ამდენ თუმანსაო. თანაც თავდა პირველად ასს, თუ ორასს მანეთს აძლევდა ჯერ კიდევ მოუნახავს ადგილში. აფხაზიც ფიქრობდა, თუ არას ეიშვენი, ეგრეთ არას ეკარგეო, ამ ას მანეთს მაინც შევკერეხო. ამ გვარად ბ-ნ ვაჭარის წყალობით საუკეთესო ბზიანი ადგილები მიეცა ამის მრწმუნებელთ. გათავდებოდა თუ არა საქმე, ეაჭარი წაიღოდა და ეტყოდა თავისს მრწმუნებელთ: რომ მეგონა, არც ისეთი ადგილი გამოდგა შენი ადგილი და თუ გნებავსთ, ერთად ხელ-მოჭერით მომყოფეთ თქვენი მიდამო კუთვნილი ადგილი; შეიძლება თქვენი ბზის ჩრა ხუთი ექვსის წლის განმავლობაში ეერცკი დაეწყოო. აფხაზიც, როგორც ადვილად დამჯერებელი, თანხმდებოდა და ჰყიდდა ადგილს ტყიან-მიწიანად. იცით როგორ? დღიურს ოც, ან ოც-და-ხუთ მანეთად და ან მარტო ბზას დღიურს თუმნად, ან ხუთიმეტ მანეთად.

, ეს ასადი სისტემა ადგილების შოვნისა ხსენებმაც შეიტყეს და დაიწყეს ერთი ცარცა-გლეჯა. ეს ბოროტება საშინლად მძვინვარებს აქ. კიდევ ბევრი აფხაზია დაუმაყოფილებელი, რომელსაც დღეს თუ ხვალ უსათუოდ ესუმრება ბაიძერა მელი და ეაჭაუპავს, თუ დროზე არ ათხოვეს ყურადღება ამ საქმეს.

◆◆

ᲛᲝᲚᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ქართულ ენის გრამატიკისა

ამას წინად ჩვენ განვიხილეთ ის მაჭალა შესახებ ქართულ გრამატიკისა, რომელიც შეკრებილია უცხოელთ ენაზედ უცხოელთაგან. დღეს გვსურს თვალი გადაეველოთ ამ გვარსაც მასალას თვით ქართველთაგანვე შეკრებილსა და შემუშავებულს. დაწერილებითი ცნობანი ქართველ გრამატიკოსებსა და მათ ნაწერებზედ შეკრებილი აქვს ბ-ნს ა. ცაგარელს თავისს წიგნში „О грам. Литер. груз. яз.“ ბ-ნს ა. ცაგარელს თავისს შრომაში არ განუხილავს გრამატიკა დ. ი. ყიფიანისა, პ. კვიცარიძისა და ქუთათელაძისა და სხვანი, რადგან ამათი წიგნები დაიბეჭდნენ შემდეგ ცაგარლის წიგნისა.

ყოველის ენის გრამატიკებრივი ცნებანი და კანონნი შემუშავდნენ თანდათან, ნელ-ნელა. მრავალგვარ და მრავალ-ფერ მასალისა და უკეთესს მწერალთა ნაწერებიდამ გამოკრიბეს წესნი და კანონნი მართლ-წერისა და მართლ მეტყველებისანი; ენის ამ წესთა და კანონთა კრებულიდგან შესდგა საგრამატიკო სახელმძღვანელო, საეალდებულო ყოველთათვის. ამ საუხუთრაზედ გრამატიკა არის ხელოვნება და არა მეცნიერება. ქართველ მწერლებსაც გრამატიკა მხოლოდ ხელოვნებად მიაჩნდათ. ხოლო ამ საუკუნეში გრამატიკა სამეცნიერო გზას დაადგა; ახლა გრამატიკა იძიებს ენის ზრდასა და განვითარების კანონებს, თვით ენის ხელოვნებაც ყველგან დამოუკიდებლად, თვით-მყოფელობით არ დაწესდა. მხოლოდ ინდოელთა და ბერძენთ თავისით შეჰქმნეს საგრამატიკო ხელოვნება. ინდოელთა ხელოვნება იწყება მე-III საუკ. ქრის. წინ. პანინეს საგრამატიკო კრებულით, ხოლო ბერძნებისა I საუკ. ქრის. წინ. დიონოს თრაკიელის საგრამატიკო ესეკითა.

ქართველთ, როგორც ვიცით, ქრისტიანობა მიიღეს მე-IV საუკუნეში (318 წ.). ამ დროიდგან ქართველნი ბიზანტიელთა და სირიელთ გონებრიესა და ზნეობრიეს გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მე VIII საუკ. საქართველოს სამღვდელოება, თუმცა სრულიად დამოუკიდებელი შეიქმნა უცხოელთ ეკკლესიიდგან, მაგრამ ამას შემდეგაც ბერძენთა გაელენა საქართველოში დიდხანს კიდევ არ მოსპობილა. როგორც პროფ. ცაგარლის ძეირფას წიგნებიდამ[1]) და სხვა-და-სხვა წყაროებიდამ სჩანს, საბერძნეთი და მცირე აზია ისეთი ქვეყნები იყო, საითაც ქართველნი მიის წრაფოდნენ უმაღლესის განათლების მისაღებად, საცა ქართველთ ჰქონდათ საკუთარი ბინაც და ხშირად სკოლებიც. ამ გვარ ბინებად ითვლებიან სინას მთა, ჯვარის მონასტერი პალესტინას, კალიპოს მონასტერი ანტიოქიისკენ და ათონისა ევროპაში. ამ მონასტრების დიდი ღვაწლი ქართველთა წინაშე უკვე დაგვიმტკიცა პროფ. ცაგარელმა ზემოხსენებულს წიგნებში. ახლა სჩანს, რომ ქართველნი ადრევე მიისწრაფოდნენ ხსენებულ ბინებისაკენ, საცა ზედ-მიწევნით, საფუძელიანად სწავლობდნენ მაშინდელ დროს ყველა წარჩინებულ ენებსა (ბერძნულსა, ასირიულსა, ებრაულს და სხვ.) და ლიტერატურასა; შემდეგ სამშობლო ენაზე გადმოჰქონდათ მრავალ გვარი სასულიერო და საერო თხზულებანი. მათ შორის არ იყო დაეწყებული თვით გრამატიკაც. როგორც ვიცით, კლასიკურ დროის გრამატიკოსებად ითვლებიან იოანე და შეიღი მისი ექვთიმე მთარგმნელი და ფილოსოფოსი პეტრიწი პირქიმელი (1120 წ.). სამუშაროდ, მათი საგრამატიკო ნაწერები დაკარგულა და ჯერ-ჯერობით არსადა სჩანს[2]).

I. ამ მხრივ, პირველი და სისტემატიური ნაწერია გრამატიკა კათალიკოსის ანტონი I-სა.

ანტონი I-ელი, კათალიკოსი ქართლისა, კახეთისა და ალბანიისა, იყო შვილი გამაჰმადიანებულის ივსესი, ვახტანგ მე-VI-ის ძმისა. იგი დაიბადა 1714 წ. ერქვა არჩილი. განათლება მიიღო გარეჯაზის მონასტერში. აქ ისწავლა საერო და სასულიერო ლიტერატურა და აგრეთვე თათრული და სპარსული ენები. 1729 წ. ანტონი, ოსმალთა და ლეკთ შემოსევისა გამო, განიკლო ოსეთში. მას გაჰყვა პამფილიის მიტროპოლიტი პართენი, რომელიც ანტონს ასწავლიდა ბერძნული ენას. 1738 წელს ანტონი ქუთაისის მიტროპოლიტად დანიშნეს. 1744 წ. ქართლ-კახეთის მეფემ თეიმურაზმა ანტონი მოიწვია იმერეთიდგან და კათალიკოსობა დაუმტკიცა. ანტონი გულ-მოდგინედ შეუდგა საერო განათლების საქმეს. გამართა მრავალნი სკოლანი თავისს სამწყოსოში, სხვათა შორის, სემინარია თელავსა და ტფილისში. სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნები თვით შეადგინა. მათ შორის ქართული გრამატიკაცა 1753 წ. სამწუხაროდ, ანტონი 1756 წელს საქართველოდგან განდევნილ იქმნა, რადგან დაუახლოვდა კათოლიკეთა ბერებს და სომხის სამღვდელოებას. ამის გამო შესწამეს მართლ-მადიდებელ სარწმუნოების ღალატი. ანტონი წავიდა რუსეთში და მიიღო ეპარქიმირის მთავარ-ეპისკოპოსობა, მაგრამ მეფე ერეკლე II-ემ 1764 წ. იგი დაიბრუნა საქართველოშიე და ისევ კათალიკოსობა მიუბოძა. ანტონი გარდაიცვალა 1788 წ. 1 მაისს. მან შესთხუზა, შეადგინა ანუ სთარგმნა 25 თხზულებაზედ მეტი. მათ შორის ორი გრამატიკა, ერთი—1753 წ. და მეორე—1767 წ.

მაზეზი ანტონისაგან ქართველის გრამატიკის შედგენისა: ვიცნენთ ძველი ქართული გრამატიკა და ეერაფერ ვეპოვეთ. არ აღმოჩნდა არც ერთი გრამატიკა მამათა მთარგმნელთაგან გადმოღებული. თვით მეფე ვახტანგ მე-VI-მაც ბევრი ძებნა ძველი გრამატიკა, მაგრამ ამაოდ. სიბერეზის მოყვარე საბა ორბელიანმა და მის დროის მწერლებმა, რომელთა მრავალი სალიტერატურო ნაწერი შეჰმატეს საქართველოს, ძველი გრამატიკა ეერა ჰპოვეს. ამაოდ ჩაიარა თვით ვახუშტის ცდამ. გრამატიკა რომ ეერ იპოვნეს, მაშინ მიანდეს გრამატიკის შედგენა მღვდელს ზაქარიას, რომელიც სცხოვრებდა არჩილის მეფობის დროს (1647—1712) წ. მაგრამ მისი გრამატიკა გრამატიკა არ არის. ამიტომაც „ეიკითხვიდი ეღიერისა, იტალიურისა, ფრანგულისა, გერმანულისა და რუსულის მეცნიერთად“ და მრავალის მოღვაწეობით შეეადგინე ქართული გრამატიკა.

რა არის გრამატიკა? „ელლინენებაჲ ესე წინამდებარე, რომელი ღრამატიკაჲ ბრძენთა კარგად ჰსთქუსს სიბრძნისა, რამეთუ ღრამატიკაჲ ეინაათგან არს შემძლეელობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად და არა რაჲ მოყვარება სიბრძნისა იქმნების, თუნიერ მართლ-უბნობისა ანუ წესიერ წერისა“.

რა გვარი და რა ნაირი უნდა იყოს ღიტერატურული ენა? „მინამ მოვიყენენდეთ მაგალითებს პირველ მასწავლებელთა თხზულებათაგან, უნდა შეენიშნოთ, რომ იგინი იყოფებიან (ენის მხრით) სამ ნაირად. ერთნი დაწერილნი არიან მდაბიურ, საყოველთაო გასაგებ ენაზედ, მაგ. ენა სვინაქსარისა და ქართულ მოთხრობათა; მეორენი, რომელნიც დაწერილნი არიან აღფთოოვანებულ და კეთილ-ხმოვან ენით და ისრე ადვილად გასაგებნი არ არიან, როგორც პირველნი, მაგ. წიგნნი საღმთო წერილისანი; მესამენი, რომელნიც დაწერილნი არიან ფრიად ამაღლებულ და კეთილ-ხმოვან ენით, ყველასთვის არაგასაგებარით; იგი მეცნიერთა ენაა. ამ გვარია კილო ქმნილებათა დიონოს ღეფის-მეტყველისა, ათანასე დიდისა, ბასილ კესარიელისა, გრიგოლ ნოსელისა, ეფრემ ასურისა, მაქსიმესი, ფილოსოფოს იოანე ქართველისა, აფხაზთა და ქართველთ მეფის დავითისა, ეფრემ და არსენ ღრამატიკოსთა, არსენი-პატრიარქისა, შოთა რუსთაველისა და სხვ.

ზეკით ჩვენ დაგვაეწყდა გვეთქვა, რომ ანტონის მიერ ცალკე შედგენილია კიდევ სახელმძღვანელო გრამატიკა კითხვა-მიგებით. მას ჰქვიან „სიმეტნე“ და პირველის გრამატიკის დამატებაა. როდის არის შედგენილი ეს სიმეტნე, ცაგარლის სიტყვით, ძნელია ამისი თქმა.

აქ ჩვენ, რასაკვირველია, დაწერილებით არ განვიხილავთ ანტონის ერცელ გრამატიკას. 1885 წ. ეს თხზულება ალექსანდრე ეპასკოპოსის საფასით დაიბეჭდა. მსურველს აღვილად შეუძლიან შეიძინოს და ზედ მიწევნით გაიცნოს. ანტონის გრამატიკაზე ლაპარაკს დღეს ჩვენ დავასრულებთ პატივცემულ ცაგარლის სიტყვებითა და შენიშვნებით.

ანტონის გრამატიკას ბევრი ნაკლულოვანება აქვს. ანტონს ჰგონია, რომ ყველა ენები ერთ გვარ წესზედ არის გამოჭრილია. ამიტომ, რაც აკლია ქართულ ენას, ის შემოღებულია და ან ქართული მართლ-წერა უცხო მართალ-წერისათვის უნაკლულებია. მაგ., თანდებულები სიტყვის ბოლოდგან თავში წამოუსკუბებია (თვის სახელისა, მებრ კაცისა, იმის მაგიერ რომ ეწერა: სახელისათვის, კაცისამებრ და სხვ.). ხშირად ანტონი აკინურებს სიტყვას. თვით ენა მეტად მძიმეა და ხშირად გაუგებარი. აქა-იქ საოხუნჯო სიტყვებიც მოიპოვება. ქართულ ენას ენებითი ბრუნვა არა აქვს. ამაზედ ანტონი ოხუნჯობს: თოკით ხომ ვერ მოვათრევთ, თუ კი ენაში არ არისო![არა იძულებითი საბლითა მეცადინეობისათა მოვათრიოთმცა შემასმენელობითი!] ერთის სიტყვით, დასძენს ცაგარელი: ანტონს გრამატიკა არ მიაჩნია მეცნიერებისაგან გამორკვეული ენის ზრდისა და განვითარების კანონთა კრებულად, პირიქით, იგი თვით ენას უმაღლესს მზა-მზარეულ სქემებსა და ფორმებს.

(დასასრული იქნება)

◆◆

წერილი ამბები

პარიკის ბოდიციამ ამ დღეებში გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები იმ უცხო ქვეყნელთა შესახებ, რომელნიც ხსოვრებდნენ სენის დეპარტამენტში წარსულის წლის 4 ოქტომბრიდგან ამ წლის 8 ივნისამდე. სუბრეფექტორი მისულდა 91,351 უცხო ქვეყნელი. ამ მისულთა სიტყვით შედგენილია სია სენის დეპარტამენტში უცხო ქვეყნელ მცხოვრებთა. სულ არის 170,262 ადამიანი ორასეკე სქესისა, ამათში ელზას-ლორენელი და გერმანელი—26,109, ამერიკელი—2,302, ინგლისელი—7,688, ავსტრა-უნგრელი—5,758, ბელგიელი—43,712, ისპანელი—2,763, ჰოლანდელი—3,770, იტალიელი—24,178, დიენმარკელი—14,692, რუსი—8,485, შეეცარელი—25,144 და სხ.

— სუფრანგეთის ბუნდიციტი ყველი როდანი, თავისს წერილებში გამოუნახავთ მწერალთა შესახებ, ამტკიცებს, რომ ლიტერატურის ასპარეზზედ მოდგეწეთ შორის ძალიან ეშეანთა ისეთი მწერალი, რომ თამბაჭოს არა სწევდესო. თამბაჭოს არა-მწეველთა შორის როდანი ასახელებს: ვიქტორენა სარდუ, ერნესტ რენანს, ჟიულ სიმონს, ოქტავ ფეიდეს, ფრანციკა სარსეს და ალფონსენრე დაუთს. გარდეკვლებულთან როდანი ასახელებს შემდეგ, რომელნიც თავისს სიცოცხლეში არ მიეკარებიან თამბაჭოს: ვიქტორ ჰიუგო, ლამარტინი, ოგიუსტ ბარბე და ალფონრედ დე-ვინია. ძალიან უეკარდათ თუმცა თამბაჭოს წაკ ჟორჟ ზანდსა და ალფონრედ მიუსს. არა-მწეველთა შორის აღსანიშნელია აგრეთვე ვანთეშენელი ქიმიკოსი შეკრედი, რომელმაც 102 წელიწადი ისე გაატარა, რომ სიგარის ეეგმო არ უნასავს.

— ბრიუსელში ბეჭდავს ოთეულ-თვიური ჟურნალი, რომელსაც ეწოდება „Jeune fille“ და რომელიც ბელგიის ეკონომიზმილ და ბურჟუაზ ყმწეილ-ქალთათვის გამოდის. ამ ჟურნალის რედაქტორი თვით ლეფოფოლა ბელგიისა. ამას გარდა ლეფოფოლი თავისს წერილებს ბეჭდავს ოჯახისა და სახლ-კარის მოვლის შესახებ და ქალს აწერს ფსეუდონიმად: „M-me Reyer“-ს. ბრინცესა კლემენტინა ამ ჟურნალში სწერს კრიტიკულს წერილებს სელოვნების შესახებ „Marthe d'Oray“ ფსეუდონიმით, ხოლო თეატრთა წარმოდგენების რეცენზიებსაც ბელგიის ლეფოფოლეკ რეცენზიებსაც ბელგიის ლეფოფოლეკ ადგენს. რუმინიის ლეფოფოლი, ლიტერატურაში ცნობილი „კარმენ სილვეს“ სახელით, დაჭბერებრა, რომ „ეალეკლის ნომერში ერთს ლექსს დაბეჭდავო. ამთა გარდა ჟურნალში მონაწილეობას იღებს ბრინცესა სტეფანია, რომელმაც რამდენიმე სურათი დაჭბეჭა. და ერეკ-ჭერეკოგინია მარია-ალექსანდრაესაც თანხმობა გამოუცხადებია ჟურნალში შრომისა.

— ბერლინის სუფოლტის ასადის წლის ბირველს დღეს ექვსი მიდიონი წერილი დურიეკებია.

— ამერიკის შეერთებულს შტატებში ორს უმაწეილს ქალს მიუღია დიპლომი გეზის კაპიტანობისა და ამათთვის ჩუბარებიათ აგრეთვე ორი ხომალდი, ნიუ-იორკის ნავთ-საგზეკრზედ მდგარი, რომელზედაც უნდა დაიწეონ თურმე ბირველი სამსახური.

— ამერიკაში მოუგონიათ ერთი ასადრებული წალები, რომელსაც ბრწეინვალე წალებს უწოდებენ. ამ წალებზედ მიმაგრებულია თურმე ბაზა ელექტრონის ლამბრება, რომელიც მშეენიერად ანათებს გზას ბნელს ღამეში.

— ოსმალეთის ასადი ფინანსთა მინისტრი აკოფ-ფაშა თანდათან უფრო დიდს ნდობას იმსახურებს სულთანისს თავისის ჭკეთა და მოსერხეულობით. ეი ამის შესახებ სტამბოლში რა ამბავი დადეს: ერთი სულთანის მაერ პატეგეტეშელი სასახლის ქალი აკად გახდა თურმე და თუმცა ბეკრი ეწინააღეეს, ეარ უშეკდეს-რა. მიიწეკეს აკადმოფთან „ხოჯა“, მასწავლებელი, რომელსაც ბეკიდრთა შორის სახელი ჭქონდა გავარდნილი ექიმობისა. ხოჯამ ორის ნახვით მოაჩინა თურმე აკადმოფთი და, რაკი თქმა უნდა, სულთანის გუნი ძალან მოიგო. ამ ოსტატის ექიმობაშის დასაკეილდოკეებლად სულთანმა ბრძანება მისცა თურმე, რომ 5,000 მანთი მიეცეთ შრომის ფასად. მეტად გასარგებლიდ ხოჯა მივიდა აკოფ-ფაშასთან ფულის მაესდეკად. აკოფ-ფაშამ გამოართვა თურმე ბარათი სულთანისა, დაიბარა ხაზინადარი და უბრძანა, რომ 500 მანეთი მიეცა ხოჯასთვის, ე. ი. ათჯერ უფრო ეოტა სულთანის ნაბრძანებზედ. ხოჯა გაწეწმატდა, ფული არ აიღო და წავიდა თურმე სულთანთან სიჩიკეკდად. სულთანმა დაიბარა აკოფ-ფაშა და ჭკითხა, რომ რატომ არ აღსრულე ჩემი ბრძანებაო. მოსერხეულმა მინისტრმა გზა ეპოვნა თურმე შეკლისა და უპასუხა: „თქვენო უმაღლესობავ, მე ასე მეგონა, რომ 500 მანეთი საკმარისი იქნებოდა ხოჯასთვის, რომელიც ქალაქში ღირაბი 10 კაპ. აღრჩენს. მეორეს მხრივ კიდეკ ეი რა კარეშოკაპ ჩამდენინა ეს საქმე: ჩვენ რომ ხოჯას 5,000 მან. მივსცეთ, ეაკა თავისს სამშობლოში და ამ ფულის სარგებლით იცხოვრებს. ამ გვარად ჩვენის ქეეყნის აკადმოფებს ნაჩეარი ექიმობაში მოაკლდებთ. ფულის მიეცემლობით მინდოდა ამ დამტკიცებინა და სამშობლოში წასვლის საშეალება არ მიმეცა“. სულთანის ძალიან მოეწონა თურმე მახვილი ბასუხი აკოფ-ფაშისა და ღიმილით უთხრა: „მართალი ხარ, მართალი, რომ აკრე მოქცეულხარო“. ეხლა, რაკი თქმა უნდა, მოეკი სტამბოლიდა ან ასადის ფინანსთა მინისტრის საბრძნის ქება და დიდება.

დეპეშა

11 იანვარი

სოფია. წარჩინებულმა მოქალაქეებმა, მინისტრებად ნამყოფებმა და დიდებულებმა გაუგზავნეს კონსტანტინეპოლს ბოლგარიის ეგზარხოსს იოსიებს აღრესი. უჩივიან ეკკლესიის დღეევანდელს მდგომარეობას ბოლგარიაში და სთხოვენ, ბოლო მოუღეთ, რაც შეიძლება მალე, ამ ყოფასაო.

12 იანვარი

პეტერბურგი. „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს პროექტი ზოგიერთა ფრიად შესამჩნევ ცვლილებისა სათამბაქო დაწესებულებაში: ჰფიქრობენ დაადწესონ შუათანა ბანდეროლი მეორესა და მესამე ხარისხის თამბაქოთა შორისა; ჰფიქრობენ შუათანა ღირსების სიგარებისათვისაც დაადწესონ ასეთივე ბანდეროლი. აგრეთვე განზრახავ აქვთ შეამცირონ 20%-ით ბაჟი ამერიკიდამ მოტანილის თამბაქოზე.

პეტერბურგის ბირჟა, 10 იანვარი.

	ფასი.		ბოლოდ ფასი.		ბოლოდ ფასი.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	—	„	—	„	7	55
ტბოლოვის კუპონები	—	„	—	„	151	1/2
მანათიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1	14
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	265	
—მეორისა	245		—	„	—	„
გარანგოს ფურცელნი ტფილისის ბანკისა	99	97	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	97	„	—	„	—	„
ტფილისის საერთაო-ერთო ნდობის საზოგადოებისა	82	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწადია. ქმეულნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უსა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადვილია—6.

იანვარი 31 დღით არის.

13 დღე პარასკევი. წმ. პეტრესი და იოვანისა. კათოლ. ეპ. ლეონტისა. სომეხ. წინა-დღეცვია და სახელ-წოდება იესო ქრისტესი. მაჰმად. მე-24 რიცხვი თოვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 5—6. მთვარე 24 დღისა.

14 დღე შაბათი. წმ. მოციქულთა სწორის ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა, გარდაცვალა 347 წ., დამარხულია სოფ. ბოდბეში, სოლაღის ახლო. სიონის ტაძარში დაფარულია შეურული წმ. ნინოს თმით ჯვარი ვაზისა, რომლითაც იგი ჰქადაგებდა საქართველოში სწავლას ქრისტესსა. კათოლ. წმ. ფელიციტესი. სომეხ. დასაბადება იოანესი. მაჰმად. მე-26 რიცხვი თოვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 7—5. მთვარე 25 დღისა.

15 დღე კვირა. ღირსისა პავლესი და იოანე მღვიმელისა. კათოლ. პავლესი და ბ. მაგრანი. მაჰმად. მე-26 რიცხვი თოვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—გუარია რუსეთის სამეფოლობელოს შეუერთდა, 1810 წ.—ჭეშმარიტი შუადღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 5—8. მთვარე 26 დღისა.

16 დღე ორშაბათი. თაყვანის-ცემა პატიოსან ჯვრისა წმ. მოციქ. პეტრესი. ათოლ. წმ. მარცელიანისა. ლომეს. პატრ. პეტრესი და პარნიმნდ. ეპესელომისა. მაჰმად. მე-27 რიცხვი თოვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰეჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 5—10. მთვარე 27 დღისა.

ბაკურიანის ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 16 იანვრამდე.

თეთრი ბური რუსული 1 ბირ.	5	კაპ.	
ბური 1-ის ხარისხისა.	3 1/2	„	
„ 2 „	3	„	
თონის ყითელი ბური 1-ის ხარ.	5	„	
„ 2—	4	„	
„ 3 „	3 1/2	„	
ჯვარის ძმის ბურის დაკვა 1-დის ხარისხისა	5	„	
მე-2 ხარისხისა	4	„	
მე-3 —	.	„	
ძროსის ხორცი 1-დის ხარისხისა.	8	„	
„ 2 „	7	„	
სუკი	14	„	
ცხვრის ხორცი 1-დის ხარისხისა.	9	„	
ღორის ხორცი	9	„	
„ 2 „	8	„	

ბიმოსელი ცეცხლის ბეჭედისა შაქაზეზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღე